დანართი N1

დამტკიცებულია

სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ დირექტორის

2020 წლის 07 ივლისის N01-04/104 ბრძანებით

ცვლილება: 2020 წლის 24 დეკემბრის N01-04/220 და

2023 წლის 06 ივნისის N01-04/114 ბრძანება

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი

2023 წელი

შინაარსი

მუხლი **1.** რეგულირების სფერო **3**

მუხლი **2.** მიზანი **3**

მუხლი **3.** საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები **4**

მუხლი **4.** ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა **4**

მუხლი **5.** ინფორმაციის გავრცელების ინტერნეტ რესურსები: ვებგვერდი, ელ-ფოსტა და სოციალური არხები **4**

მუხლი **6.** შიდა და გარე კომუნიკაცია **6**

მუხლი **7.** მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა **7**

მუხლი **8.** უკუკავშირის შედეგები და ანალიზი **8**

მუხლი **9.** დასკვნითი დებულებანი **8**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე დოკუმენტის „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“ დამტკიცება და ასევე მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით;

1.2. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს კოლეჯის ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით საკომუნიკაციო აქტივობების განხორციელების პირობებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებების ჩატარების გზებს, შიდა და გარე კომუნიკაციის მართვის პრინციპებს, საინფორმაციო საშუალებების (ვებ. გვერდი, ელ-ფოსტა, სოციალური მედიის არხები) მართვისა და განვითარების სტრატეგიებს. წესი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზისა და რეაგირების ფორმებს.

მუხლი 2. მიზანი

საზოგადოებასთან ურთიერთობა ემყარება გამჭვირვალობის, სამართლიანობის და საჯაროობის პრინციპებს. მისი ამოცანაა იმოქმედოს მისიის აღსრულების ფარგლებში და უზრუნველყოს კოლეჯის მაღალი რეპუტაციის მქონე პროფესიული სასწავლებლის სტატუსის გამყარება, რისთვისაც საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესით განსაზღვრულია შემდეგი მიზნების შესრულება:

2.1. ორმხრივი, ხანგრძლივი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების შექმნა და შენარჩუნება დაინტერესებულ პირებთან, როგორც კოლეჯის გარეთ, ასევე მის შიგნით;

2.2. კოლეჯის მიერ საზოგადოების განვითარებაში კონტრიბუციის მიზნით, სპეციალური ღონისძიებებისა და აქტივობების დაგეგმვა - განხორციელება;

2.3. კოლეჯის სასურველი იმიჯის შემუშავება და გამყარება პროფესიული სასწავლებლის საქმიანობის, მისიის, ღირებულებებისა და მიზნების გაზიარებითა და წარმოჩენით;

2.4. კოლეჯის საქმიანობის შესახებ გამჭვირვალე საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება, ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

2.5. ვებ-გვერდისა და სოციალური მედიის არხების საინფორმაციო უზრუნველყოფა;

2.6. კოლეჯის საქმიანობის პოპულარიზაცია;

2.7. კოლეჯის სიახლეების, მიღწევების და სხვა საქმიანობის ამსახველი საკითხების მედიის მხრიდან საინფორმაციო მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

2.8. პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და კოლეჯის პერსონალის მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა;

2.9. უკუკავშირის შედეგების ანალიზი და მათი გამოყენება კოლეჯის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

მუხლი 3. საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები

3.1. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია ითანამშრომლოს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან და მოთხოვნილ ვადებში მიაწოდოს ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია;

3.2. კოლეჯის თანამშრომლები ითვალისწინებენ საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირის თხოვნას დაუგეგმავი შეხვედრების ორგანიზებასა და მონაწილეობაზე, ასევე მათი ჩართულობის საჭიროებას სხვადასხვა სახის საინფორმაციო, საიმიჯო და საკომუნიკაციო აქტივობებში;

3.3. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია აწარმოოს კომუნიკაცია კოლეჯს შიგნით, და ასევე მის გარეთ იმგვარად, რომ დაცული იყოს ინფორმაციის სინამდვილე და გონივრულობა;

3.4. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ვალდებულია კოლეჯის საქმიანობის შესახებ გაკეთებული საჯარო განცხადებები და მედიასთან ურთიერთობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები შეათანხმოს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან;

3.5. კოლეჯის ყველა თანამშრომელი აცნობიერებს პასუხისმგებლობას დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული ინფორმაციის და ასევე, უკუკავშირის სხვა შედეგების კოლეჯის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის გამოყენებაზე, რისთვისაც ცვლიან და ავრცელებენ ინფორმაციას;

მუხლი 4. ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა

4.1. კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული მიზნები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4.2. კოლეჯის საქმიანობა არის გამჭვირვალე, რითვისაც სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები და წლური ანგარიშები საჯარო და ხელმისაწვდომია;

4.3. კოლეჯი უზრუნველყოფს პოპულარიზაციის, ცნობადობის ამაღლების, იმიჯის მართვისა და რეპუტაციის გამყარების მიზნით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

4.4. პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის, მოქალაქისთვის, მედიისთვის და სხვა დაინტერსებული პირებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი, გონივრულ ვადაში.

მუხლი 5 - ინფორმაციის გავრცელების ინტერნეტ რესურსები: ვებგვერდი, ელ-ფოსტა და სოციალური არხები

5.1. კოლეჯის ვებგვერდი: www.kpc.ge , ელექტრონულ ფოსტა: kobuleticollege@gmail.com და ოფიციალური სოციალური ქსელი facebook სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ წარმოადგენენ კოლეჯის გარე კომუნიკაციის ძირითად წყაროებს და უზრუნველყოფენ ინფორმაციის დროული გავრცელებისა და უკუკავშირის პროცესების ეფექტიანობას;

5.2. ვებგვერდი და სოციალური ქსელი ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიმოქცევის ინტერესს და ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას:

ა) საკომუნიკაციო პლატფორმის ფუნქციას, რისთვისაც ხელმისაწვდომს ხდის კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაციას და ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას;

ბ) საინფორმაციო ფუნქციას, რისთვისაც უზრუნველყოფს კოლეჯის საქმიანობის, კოლეჯის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის

საჯაროობას;

5.3. ვებგვერდზე დატანილია ყველა ის არსებითი ინფორმაცია, რაც იძლევა პროფესიულ განათლებაში კოლეჯის ადგილისა და როლის ამოცნობის საშუალებას, კერძოდ:

- კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები;
- დაწესებულების სტრუქტურა;
- ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;
- ინფორმაცია პერსონალის შესახებ;
- ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- მთავარი სიახლეები;
- პროგრამების ანოტაციები: სახელწოდება, ჩარიცხვის წინაპირობები, პროცედურები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის დასრულების შემდეგ გასაცემი დოკუმენტი, კურსდამთავრებულთა დასაქმების ან შემდგომი სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები;
- სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, როგორიცაა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტაცია, საბიბლიოთეკო რესურსები, ელექტრონული კატალოგი;
- კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, წლიური ანგარიშები;
- ინფორმაცია პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ;
- დასაქმების შესაძლებლობები: ინფორმაცია პარტნიორი ბიზნეს ორგანიზაციების შესახებ, დასაქმების სტატისტიკა, დასაქმების ხელშემ-წყობი აქტივობები და სერვისები;
- საზოგადოების ინტერესის დასაკმაყოფილებლად გამიზნული ინფორმაცია, როგორც მიმდინარე პროცესები და აქტივობები, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები და დროული სიახლეები;
- მედია კომუნიკაციის ამსახველი მასალა: პრესრელიზები, საგაზეთო პუბლიკაციები, სატელევიზიო/რადიო გაშუქებები;
- კოლეჯის საქმიანობის ამსახველი ფოტო და ვიდეო გალერეა.

5.4. ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში განსათავსებლად საჭირო ინფორმაცია ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს მიეწოდება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ;

5.5. ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში შემოსულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის/გადამისამართების პრეროგატივა აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირს;

5.6. ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაცია არის უტყუარი და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მისი დადასტურება;

5.7. კოლეჯის ვებგვერდზე და სოციალური ქსელებში ინფორმაციის განთავსება ხდება საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან შეთანხმებით;

5.8. კოლეჯის ერთიანი ელექტრონული ფოსტა გამიზნულია ინფორმაციის სწრაფად გავრცელებისა და უკუკავშირის მოქნილად მოპოვებისთვის

მუხლი 6. შიდა და გარე კომუნიკაცია

6.1. კომუნიკაცია თანამშრომლებთან

6.1.1. კოლეჯი უზრუნველყოფს პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემით. კოლეჯის თანამშრომლები ვალდებულნი არიან სამსახურეობრივი შეტყობინებები, უფლებამოსილების ფარგლებში, გაგზავნონ კოლეჯის დომეინით შექმნილი ელექტრონული ფოსტის საშუალებით, როგორც კოლეჯს შიგნით, ასევე კოლეჯის გარეთ;

6.1.2. თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად, გამოიყენება სატელეფონო კავშირი, კოლეჯის ვებ გვერდი, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და კოლეჯის ღია სივრცეში საინფორმაციო დაფა, სადაც გამოიკვრება გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია;

6.1.3. საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი შეხვედრების ფორმატით ან/და სამსახურებრივი ფოსტის საშუალებით აცნობს თანამშრომლებს დაგეგმილი ღონისძიებების/სიახლეების შესახებ ინფორმაციას და აწვდის დეტალებს გავრცელების მიზნით;

6.1.4. კოლეჯი უზრუნველყოფს თანამშრომლებში, მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებლებში/ინსტრუქტორებში პოზიტიური სივრცის შექმნას, სადაც კომუნიკაციაში ჩართული მხარეები კომფორტულად გრძნობენ თავს.

6.2. კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან

6.2.1. პროფესიული სტუდენტებისთვის და მსმენელებისთვის დადებითი სასწავლო გარემოს შექმნაში ჩართულია კოლეჯის ყველა თანამშრომელი;

6.2.2.სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს ამ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი;

6.2.3. სტუდენტებთან/მსმენელებთან კომუნიკაციისთვის გამოიყენება სატელეფონო კავშირი, კოლეჯის ფოსტა, ვებგვერდი, სოციალური ქსელი, კოლეჯის შენობის ღია სივრცე, სადაც გამოიკვრება შესაბამისი ინფორმაცია. ასევე ინფორმაციის მიწოდება პირდაპირი კომუნიკაციის გზით ხდება აუდიტორიებში ან შეხვედრის ორგანიზებით.

6.2.4. კოლეჯის დომეინით შექმნილი ელექტრონული ფოსტის პერმანენტული შემოწმება და მიღებული შეტყობინებების გათვალისწინება სავალდებულოა კოლეჯის სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის.

6.3. ვიზიტორები და შიდა შეხვედრები

6.3.1. კოლეჯის ვიზიტორებისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაზე ზრუნავს კოლეჯის ყველა თანამშრომელი, რომლებიც კომპეტენციის ფარგლებში ახდენენ ვიზიტორის დაკვალიანებას (რეცეფციონისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი);

6.3.2. კოლეჯში შემოსული მოქალაქეების ინფორმირება, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს რეცეფციონისტს მისი კომპეტენციის ფარგლებში;

6.3.3. კოლეჯში დაგეგმილი შეხვედრების მონაწილეების, ღონისძიებების სტუმრებისა და მედიის წარმომადგენლების მიღება/დახვედრა უზრუნველყოფილია საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, წინასწარი მომზადების საფუძველზე;

6.3.4. გაუთვალისწინებელ და დაუგეგმავ შეხვედრებს ორგანიზებას უწევს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი თანამშრომლებთან კოორდინაციით;

6.3.5. ცნობიერების ამაღლების მიზნით, პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის და თანამშრომლებისთვის კოლეჯში პერიოდულად ტარდება სხვადასხვა ინფორმაციული შეხვედრები, რომელსაც ორგანიზებას უკეთებს საზოგადოებასთან

ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი;

6.3.6. კოლეჯის სივრცეში ეწყობა ღია კარის დღეები პროფესიული განათლების პოპულარიზაციის და პროფორიენტაციის მიზნით;

6.3.7. კოლეჯის საკონტაქტო ტელეფონის ნომერია: 0426266851. შემოსულ ზარებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება განსაზღვრული აქვს საქმისმწარმოებელს, ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ, მისი კომპეტენციის ფარგლებს მიღმა არსებულ შეკითხვებზე, საჭიროებისამებრ განსაზღვრავს ზარის შემდგომ ადრესატს და ახდენს გადამისამართებას.

6.4. გარე შეხვედრები და აქტივობებში ჩართულობა

6.4.1. საზოგადოებასთან ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმის - პირისპირ შეხვედრების ფორმატში, კოლეჯი მის მიერ განხორციელებადი სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ახდენს საჯარო და კერძო სკოლებში ინფორმაციის გაზიარებას პროფესიული განათლების პოპულარიზაციისა და კოლეჯის პროგრამების რეკლამირების მიზნით;

6.4.2. საინფორმაციო ტიპის შეხვედრებში საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად ჩართულია სტუდენტური სერვისებისა და კარიერის მართვის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სტუდენტები/მსმენელები, რომლებიც ახდენენ საკუთარი გამოცდილების გაზიარებას და პროგრამების შესახებ იძლევიან დეტალურ ინფორმაციას;

6.4.3. კოლეჯი მხარს უჭერს სხვადასხვა ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების, სააგენტოებისა და ასოციაციების მიერ მოწყობილ კონკურსებში, ტრენინგებში, კონფერენციებში, შეხვედრებში, ფორუმებსა და გამოფენებში პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მონაწილეობას;

მუხლი 7. მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა

7.1. კოლეჯი ზრუნავს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მოქალაქეობრივი, კულტურული ცნობიერების, თვითგამოხატვის, იდენტობის და სხვა კომპეტენციების განვითარებაზე, რისთვისაც შემუშავებული აქვს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმები:

7.2. სპორტული ინციატივების მხარდაჭერა:

7.2.1. ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის მიზნით, ეწყობა სპორტული შეჯიბრებები და შიდა ჩემპიონატები.

7.2.2. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ, როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლები/ინსტრუქტორები, ასევე კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები და პროფესიული სტუდენტები/მსმენელები;

7.2.3. ჩემპიონატში გამარჯვებული გუნდი წახალისების მიზნით ჯილდოვდება.

7.3. საგანმანათლებლო და კარიერული განვითარების ინიციატივების მხარდაჭერა:

7.3.1. კოლეჯის სივრცე გამოიყენება პროფესიული განათლების მასწავლებლების /ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების სამუშაო შეხვედრებისა და პროფესიული ზრდის მიზნით;

7.3.2. კოლეჯი მხარს უჭერს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მიერ მცირე ბიზნესის, დარგობრივი პროექტების და სხვა პროფესიული აქტივობების წამოწყებას;

7.3.3. კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების კარიერული განვითარების შესაძლებლობების გაფართოვებას, აწვდის ინფორმაციას, ტრენინგების, გამოფენების, პრეზენტაციების, დასაქმების ფორუმებისა და სხვა ღონისძებების შესახებ, ხელს უწყობს ახალი ტექნოლოგიების, მასალების, მიდგომების გაცნობას.

7.4. გასართობი და შემოქმედებით-კულტურული ღონისძიებების ინიციატივების მხარდაჭერა:

7.4.1. კოლეჯის სივრცე გამოიყენება პროფესიული განათლების მასწავლებლების /ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შემოქმედებითი, გასართობი და კულტურული ღონისძებების მოწყობის მიზნით;

7.4.2. კოლეჯი ხელს უწყობს მასწავლებლების/ინსტრუქტორებისა და პროფესიული სტუდენტების/ მსმენელების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენას;

7.4.3. კოლეჯში ეწყობა პროფესიული სტუდენტების/მსმენელების წამახალისებელი ღონისძიებები, შეჯიბრებები, აქტივობები, კონკურსები;

7.4.4. პროფესიული განათლების პოპულარიზაციის და პროფორიენტაციის მიზნით ღონისძიებები შეიძლება მოეწყოს კოლეჯის გარეთ;

7.4.5.წამახალისებელი გარემოს შექმნის მიზნით,პროფესიული სტუდენტების/მსმენელების აქტივობების შედეგები ზიარდება კოლეჯის სოციალური ქსელების გვერდებზე და თავსდება კოლეჯის სივრცეში.

7.5. საზოგადეობის განვითრებაში კონტრიბუციის მიზნით დაგეგმილი ღონისძიებების მხარდაჭერა:

7.5.1.კოლეჯი მისიის აღსრულების ფარგლებში ზრუნავს საზოგადოებრივი კეთილდღეობისზრდაზე, რისთვისაც მხარს უჭერს სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ინიციატივებს,საზოგადოებრივი ინტერესებზე ორიენტირებულ ღონისძიებებსა და სოციალური პროექტებს.

7.6. საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი - სტუდენტური სერვისებისა და კარიერის მართვის მენეჯერთან, ასევე სხვა პასუხისმგებელ პირებთან ერთად, ორგანიზებას უკეთებს ზემოაღნიშნულ აქტივობებს და შესაბამის ინფორმაციას ათავსებს კოლეჯის ოფიციალურ ვებ გვერდზე, სოციალურ ქსელებში სხვა საინფორმაციო არხებზე.

მუხლი 8 . უკუკავშირის შედეგები და ანალიზი

8.1. საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება პრიორიტეტულია მისი მოლოდინების ეფექტური დაკმაყოფილებისთვის;

8.2. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

8.3. კოლეჯში საზოგადოებასთან კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე ზრუნვის პროცესში, გაცნობიერებულია უკუკავშირის დადებითი ეფექტები;

8.4. კოლეჯში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი;

8.5. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის;

8.6. ხშირად დასმული შეკითხვების პასუხები აკუმულირდება ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე, რაც პერიოდულად ექვემდებარება განახლებას;

8.7. ანალიზს წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი- საკითხთან დაკავშირებული თანამშრომლების ჩართულობით.

მუხლი 9 . დასკვნითი დებულებანი

9.1. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესს ინდივიდუალურ-ადმინსტრაციულ სამართლებრივი აქტით - ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

9.2. წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის - ადმინსტრაციულ სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.